საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 5 21 00041704

01/12/2021

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტებ**ის** დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია შემდეგი გარემოების გამო:

სსიპ - ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მართვა. ამ ფუნქციის შემსრულებელი დაწესებულებისათვის უფრო რელევანტურია სახელწოდება - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, ვინაიდან უფრო მეტად მიესადაგება თავად რესურსს, რომელსაც სააგენტო განკარგავს. წიაღი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უფრო ფართო ცნებაა და იგი არ მოიცავს მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულს, რომლის მართვაც სააგენტოს ფუნქციაა, შესაბამისად, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, უმჯობესია სახელწოდებაში მინერალური რესურსების გამოყენება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება. გარდა ამისა, მინერალური რესურსები, როგორც ტერმინი, მიღებულია საერთაშორისო საზოგადოებისთვის და იგი უფრო ნათელს ხდის ორგანიზაციის დანიშნულებასა და უფლებამოსილების სფეროს. სახელწოდება მარტივი აღსაქმელია, როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. საკანონმდებლო ცვლილებით წარმოდგენილი სააგენტოს სახელწოდება - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, უკავშირდება მინერალურ რესურსებს და იგი არ გამოიწვევს ბუნდოვანებას ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახელის ცვლილება და მისი ჩამოყალიბება - „სსიპ-მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო“-ს ფორმულირებით. ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2022 წლის 1 იანვარი, ვინაიდან, მიზანშეწონილია ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებისას ხელი არ შეეშალოს სააგენტოს ბიუჯეტის დაგეგმვასა და დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საქართველოს კანონების პროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2021 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, ვინაიდან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წიაღის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს მომართა მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს. შესაბამისად, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება მთავრობის მითითებულ გეგმაში ვერ იქნა ასახული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი